

სასწავლო უნივერსიტეტი

„რვალი“





European Quality



რექტორის მისალმება



ჩემთვის დიდი პატივია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების სახელით წარმოგიდგინოთ სასწავლო უნივერსიტეტი “რვალი”. უნივერსიტეტი გათავაზობთ თანამედროვე თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი მაღალკონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე

ტიპის მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას. ჩვენ გათავაზობთ თანამედროვე სტანდარტებზე აგებულ სასწავლო პროგრამებს, რომლებიც სტუდენტებში განავითარებენ მეცნიერების სხვადასხვა დარგებში ღრმა ცოდნას, გაუღვიძებენ ინტელექტუალური განვითარებისადმი ინტერესს და გაუღრმავებენ აზროვნებისა და ურთიერთობის უნარ-ჩვევებს, რაც მათ საზოგადოებაში სწორი ორიენტაციის გამომუშავებაში დაეხმარებათ.

თითოეული ჩვენგანი ყოველთვის მზადაა იმჯელოს თქვენთან, თუ როგორ შეუძლია უნივერსიტეტს უკეთ დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნები და ინტერესები.

გულქან ქმოსტელი
უნივერსიტეტის რექტორი

რატომ უნდა ჩავაბაროთ სასწავლო უნივერსიტეტში “რვალი”:

- თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამები
- პროფესიონალებით დაკომპლექტებული აკადემიური პერსონალი
- გაცვლითი პროგრამები
- მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება
- დასაქმება



სასწავლო უნივერსიტეტი “რვალი” წარმოადგენს სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და მკვლევართა მჭიდრო კავშირს, რომელთა ერთიანი თანამშრომლობითაც იქმნება პროფესიული და აკადემიური სწავლების და სამეცნიერო კვლევების ერთიანი არეალი. უნივერსიტეტის მისიაა აღნიშნულ რეგიონში საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება და მოცემულ ეტაპზე სახელმწიფოებრივი მთხონების დაკმაყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საბოლოოდ კი ევროპის მოწინავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მთხონების შესატყვის სასწავლო უნივერსიტეტად ჩამოყალიბება.

საზოგადოებრივ-მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უშუალოდ განახორციელებს სწავლისა და სწავლების პროცესს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში.



- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი—შემდეგი მიმართულებებით:

მიმართულება – ბიზნესის ადმინისტრირება



საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა ბიზნესის ადმინისტრირება. აღნიშნულ მიმართულებაზე ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

საბაკალავრო პროგრამა-ფინანსები

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ფინანსებში ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებიც დაუფლებული არიან: საფინანსო, საბანკო და სადაზღვეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ-სამართლებრივი საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტას. ფლობენ ზოგად ეკონომიკურ და ბიზნესის სფეროს დისციპლინების საფუძვლებს იმ მოცულობით, რაც საჭიროა საფინანსო-საბანკო და სადაზღვეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტისათვის. გააჩნიათ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა სპეციალობის დისციპლინებში, რაც ეკონომიკურ ფაქტორთან ანალიზის, შედეგთა განზოგადების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების მნიშვნელოვანი საწინდარია. ფლობენ ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, რის გარეშეც საფინანსო-საბანკო და სადაზღვეო სფეროში საქმიანობა შეუძლებელია. გააჩნიათ ფინანსური და საბანკო ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯგურებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთების უნარი.

შეუძლიათ თავიანთი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან. კომპანიების, ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, განსახორციელებელ ღონისძიებათა შემუშავება და კონტროლი მათ შესრულებაზე. გადასახადებისგანაკვეთის გაანგარიშება და მათი ამოღების მექანიზმის შემუშავება. საგადასახადო და საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულება. საბანკო ოპერაციების განხორციელება; საბანკო საქმიანობის ეფექტიანი სისტემის შემუშავება, რომელშიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ბაზრის კონიუნქტურას. სადაზღვეო საქმიანობის რაციონალურად და ეფექტიანად წარმართვა.

სამაგისტრო პროგრამა-საბანკო საქმე



სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი საბანკო საქმეში და ფლობს: საფინანსო, საბანკო, საბიუჯეტო, საქმიანობასთან დაკავშირებულ ღონისძიე-

ბათა უზრუნველყოფის უნარს; ორგანიზაციის, მისი გარემოს და მათი მართვის თეორიებს, კონცეფციებს და ძირითად პრინციპებს;
- გააჩნია ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ოპერაციული მენეჯმენტის, პროექტების მართვის, ლოგისტიკის, მარკეტინგისა და კადრების მართვის, ფინანსების, საგადასახადო და საბუღალტრო აღრიცხვის, მენეჯმენტის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა. აცნობიერებს მათ ურთიერთკავშირს;

ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას ბიზნესის სფეროში; იცის ეკონომიკური და ბიზნეს-საქმიანობის ანალიზი და შეფასების რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები; აცნობიერებს ბიზნესის რელს მდგრადი განვითარებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის და სახელმწიფო ეროვნული საგადასახადო სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს; ფლობს პროფესიულ პასუხისმგებლობას და ეთიკის ნორმებს. შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, ფინანსური ანგარიშგების, ფინანსური დოკუმენტაციის მომზადება პრეზენტაცია; მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილებების მიღება და საბაზრო რისკების შეფასება; მარკეტინგული მონაცემების თავმოყრა, დაჯგუფება, ანალიზი, ბაზრის კვლევა, მისი შესაძლებლობების განსაზღვრა და პროგნოზირება, მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება და სხვა; ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის თავმოყრა, ანალიზი, ანგარიშების მომზადება და წარდგენა; საბუღალტრო, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება.





მიმართულება - ჰუმანიტარული მეცნიერებანი

საზოგადოებრივ-მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა ჰუმანიტარული მეცნიერებანი. აღნიშნულ მიმართულებაზე ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

საბაკალავრო პროგრამა-ფილოლოგია (ინგლისური ენა და ლიტერატურა)

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში.

კურსდამთავრებულს გააჩნია ფილოლოგიის დარგის კერძოდ ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის, თეორიული და პრაქტიკული საკითხების ფართო ცოდნა. ლინგვისტური კვლევის პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება ინგლისური ენის სხვადასხვა ვარიანტებისა და მათი დაუფლების მეთოდების ცოდნა. ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის თავისებურებების ცოდნა შესძლებს ინგლისური ტექსტების რეფერირება-რეცენზირებას; დარგობრივი ლიტერატურის, მისი ისტორიისა და თანამედროვე ეპოქის, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებების კრიტიკული ანალიზს, უძველესი და თანამედროვე კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხების ცოდნა გაცნობიერებას.

მასალის შეგროვების, შესაბამისი წყაროების დიფერენცირებისა და შეფასების უნარები; დამოუკიდებლად ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული და არქივის წყაროების შეგროვებისა და შემდგომი მოძიებული მასალის გამოყენების უნარი; ინგლისურიდან ქართულად და პირიქით სხვადასხვა ტექსტების თარგმანის უნარ-ჩვევები; თავისუფლად, ნორმატიულად გამართულად და ფუნქციურად ადგეკვატურად სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობის გამოყენების უნარი; ინგლისურიდან ქართულად და პირიქით სხვადასხვა ტექსტების თარგმანის უნარ-ჩვევები; ინგლისური ლექსიკის გამდიდრების არსებული გზებისა და საშუალებების პრაქტიკულად გამოყენების უნარი. არსებულ პროცესებზე და მოვლენებზე დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა;



სამაგისტრო პროგრამა-ანგლისტიკა (ლინგვისტიკა და პროფესიული ინგლისური)

ანგლისტიკის დარგში კურსდამთავრებულები მიიღებენ უახლეს თეორიულ და კვლევაზე დაფუძნებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას ლინგვისტიკისა და პროფესიული ინგლისური ენის თეორიის საკითხებში. უნდა შეძლონ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულად ათვისება და შემდგომში გამოიყენონ ლინგვისტიკის კვლევისას; დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძენენ ტექსტის აგების უნარს, დარგობრივი ტექსტის ინტერპრეტაციისა და თარგმნის კომპეტენციას. ისინი დაუფლდებიან თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკას, ფონეტიკასა და ფონოლოგიას, ლინგვისტიკის პრობლემებს, პრაგმატიკას, თარგმნის პრინციპებს, კვლევის მეთოდოლოგიას, სოციოლინგვისტიკას, გამდიდრებენ ლექსიკას და გაიღრმავებენ ენის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის კრიტიკული გამოყენების და პრობლემების გაანალიზებისა და გადაჭრის უნარ-ჩვევების დემონსტრირება. პროფესიული ინგლისურის ფლობა და მისი პრაქტიკაში გამოყენება;

სამეცნიერო მოხსენების მომზადება და მათი პრეზენტაცია; ანგლისტიკაში პრობლემების გადაჭრის მეთოდოლოგიის გამოყენება; მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის კრიტიკული გამოყენების და პრობლემების გაანალიზების უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ლინგვისტიკისა და პროფესიული ინგლისურის დარგში კვლევის დაგეგმვა და რეალიზება უახლესი ლინგვისტური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.



მიმართულება - განათლება



საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიმართულებაა განათლება. აღნიშნულ მიმართულებაზე ხორციელდება საბაკალავრო პროგრამა - მასწავლებლის განათლება (დაწყებითი განათლება)

განათლების მიმართულების დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. იგი საფუძვლიანად ერკვევა განათლების საკითხებში, შეუძლია განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების სათანადოდ მართვა და შესწავლილი მეთოდების სწორად გამოყენება. საგანმანათლებლო კონცეფციის თეორიისა და პოლიტიკის ცოდნა; სასწავლო პროცესის მონაწილეთა განსხვავებული როლების გაცნობიერება; საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურისა და მიზნების გაგება; მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის კონტექსტში საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ცოდნა და გაცნობიერება; თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ცოდნა და გაცნობიერება; პიროვნების ჩამოყალიბების ფაქტორების, აღზრდის მიზნებისა და ამოცანების ცოდნა და გაცნობიერება; სწავლებისა და აღზრდის პრინციპების, შინაარსისა და მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება; სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების როლის ცოდნა და გაცნობიერება ადამიანის განვითარებაში; მოსწავლეთა შესაძლებლობების მინიმუმის და მაქსიმუმის დადგენისა და განსაზღვრის ცოდნა და გაცნობიერება. განათლების თეორიების და მეთოდოლოგიის ზოგადი და კონკრეტული სასწავლო აქტივობის საფუძვლიანად გამოყენების უნარი; მოსწავლეთა მრავალფეროვნებისა და სწავლის პროცესის სირთულეების დანახვის და მასზე რეაგირების უნარი;

სწავლისა და სწავლების რიგი სტრატეგიების ცოდნა და გამოყენების უნარი; საგანმანათლებლო პროგრამების/მასალების შეფასების უნარი; ინფორმაციული მონაცემების ანალიზის, შეფასებისა და ინტერპრეტაციის უნარი; საგაღმწეო დისციპლინების სწავლების მეთოდების უნარები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში; ბლუმის პედაგოგიური ტაქსონომიის გამოყენების უნარი; პედაგოგიური ტაქტის გამომუშავება; დასახული სამომავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო მასალის ამორჩევისა და შესწავლის აუცილებლობის დადგენის უნარი;



სასწავლო პროცესი

უნივერსიტეტში უმაღლესი აკადემიური განათლება მიიღება ორ საფეხურიანი სწავლების საფუძველზე. უმაღლესი განათლების საფეხურებია:

ა) ბაკალავრიატი;

ბ) მაგისტრატურა.

სწავლა და სწავლება განიხილება ერთიან აკადემიურ პროცესად, რაც გულისხმობს სტუდენტის მიერ განხორციელებული სწავლისა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სწავლების პროცესს – აკადემიური პროგრამების შესაბამისად.

აკადემიური პროგრამა არის საგანმანათლებლო პარამეტრების, კომპონენტებისა და სხვა სასწავლო დონისძიებების პაკეტი, რომელიც ორიენტირებულია საკვალიფიკაციო შედეგზე.




პროგრამები ყალიბდება ყოველი საგანმანათლებლო საფეხურის სპეციფიკისა და მიზნების გათვალისწინებით და ითვალისწინებს სავალდებულო საგნების მინიმუმს და არჩევით კურსებს როგორც ზოგადსაუნივერსიტეტო, ისე სპეციალიზაციის ბლოკებიდან. პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ამ პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა გადანაწილებას სხვა სასწავლო პროგრამებზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სასწავლო გარემო



2010 წლიდან უნივერსიტეტი გადავიდა საკუთარ, ახალ რეკონსტრუირებულ და გარემონტებულ კორპუსში, სადაც განთავსებულია კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, აუდიტორიები, მდიდარი ბიბლიოთეკა, საკონფერენციო და სააქტო დარბაზები, ლინგაფონის კაბინეტი, კომპიუტერული ცენტრი, სპორტული დარბაზი, სასადილო. 2011 წელს დასრულდება სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.



უნივერსიტეტს მიენიჭა ევროპული ხარისხის ჯილდო.



დიდი ბრიტანეთი, ქ. ოქსფორდი, 2009 წლის 8-12 მარტი — "ოქსფორდის ლიდერთა სამიტი-2009", პრესტიუზული ევროპული ჯილდოების XIV საზეიმო ინაუგურაცია ("International Socrates Award Ceremony").

Europe Business Assembly-ის მიწვევით ჯილდო საგანმანათლებლო სფეროში "ევროპული ხარისხი" ("European Quality") გადაეცა უნივერსიტეტს ევროპული სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხისა და



კონკურენტუნარიანობისათვის. ინსტიტუტის რექტორი პროფესორი გულქან ქმოსტელი გაწვევრიანდა ევროპის რექტორთა საბჭოში (CRE) და გადაეცა საპატიო მანტია, სახელობითი დიპლომი და სამკერდე ნიშანი დამყარდა საქმიანი კონტაქტები ევროპის სხვადასხვა უმაღლეს

სასწავლებლებთან: გაცვლითი სამაგისტრო პროგრამები საერთაშორისო ბიზნესსა და მარკეტინგში ესპანეთის უნივერსიტეტებთან;

სპორტი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი, რომელსაც ხელმძღვანელობს მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონი მძლეოსნობაში პროფესორი ზურაბ ჭავჭავანიძე.



ახალი წელი 2011



საახალწლო მეჯლისი უნივერსიტეტის
კაფე-ბარში



ღონისძიებები და პრეზენტაციები

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს საკუთარი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე. ამ მიზნით უნივერსიტეტში ყოველკვირეულად ტარდება პრეზენტაციები აქტუალურ თემებზე. სტუდენტთა კონფერენციები, შეხვედრები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა თუ ბიზნეს ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამასთანავე უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებაზე და ცდილობს მეტი ხალისი შემატოს სასწავლო პროცესს.



სწავლის საფასური

საგანმანათლებლო პროგრამა	ადგილების რაოდენობა	სწავლის საფასური ერთი წელი
ფინანსები-საბაკალავრო პროგრამა	56	2250 ლარი
ინგლისური ენა და ლიტერატურა-საბაკალავრო პროგრამა	100	2250 ლარი
მასწავლებლის განათლება-საბაკალავრო პროგრამა	100	2250 ლარი

საუნივერსიტეტო ქალაქის
სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები
სრულდება 2012 წლისათვის:



საკონტაქტო ინფორმაცია:



მისამართი: საქართველო, რუსთავი, 3700,
ბოსტანქალაქის ქუჩა №3

ტელ.: +99599 987 996, +99599335111

ფაქსი: 824 14 18 97

ელ.ფოსტა: rvali@rvali.edu.ge

ვებ-გვერდი: www.rvali.edu.ge



**„კბაღი“ ბისუკობი
შაკმატეხეს!**

2011 წ.